- თუ სადაზღვევო ხელშეკრულება მოდიფიცირდება ისე რომ იწვევს შეფასების მოდელში ცვლილებას ან როდესაც შესაბამის სტანდარტი, რომელიც ხელშეკრულების კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს მოდიფიცირებული ხელშეკრულების სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და აღიარებს მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას როგორც ახალ ხელშეკრულებას.

როდესაც მოდიფიკაცია არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის პირობებს, კომპანია ხელშეკრულების მოდიფიკაციის შედეგად მიღებულ ან გადახდილ თანხებს ასახავს როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებების ცვლილებას.

წარდგენა

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს კომპანიის მიერ გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს, გამოშვებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს და ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

კომპანია ახდენს მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხების დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს შორის.

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილებს შორის და მთლიან ცვლილებას ასახავს როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

კომპანია ერთი თანხის სახით წარადგენს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც არ მოიცავს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

სადაზღვევო ამონაგები

პერიოდის სადაზღვევო ამონაგები წარმოადგენს მოსალოდნელი მისაღები პრემიის თანხას (არ მოიცავს საინვესტიციო კომპონენტს და შესწორებულია საკრედიტო რისკით), რომელიც მიკუთვნებულია მოცემულ პერიოდზე. შესაბამისად, ფასს 17-ის მოდელი სადაზღვევო ამონაგების აღიარებასთან მიმართებით ასახავს დაზღვეულების მიერ პრემიის გადაუხდელობის რისკს.

კომპანია მოსალოდნელ მისაღებ პრემიას სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებას თითოეულ პერიოდზე ანაწილებს დროის გასვლის პროპორციულად. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში რისკისგან განთავისუფლების მოსალოდნელი სქემა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ სქემისგან, რომელიც ასახავს დროის გასვლას, მაშინ მისაღები პრემია ნაწილდება სადაზღვევო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების წარმოშობის მოსალოდნელი დროის საფუძველზე. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების დისკონტირება არ ხდება.

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ისეთ ცვლილებას, გარდა იმ ხელშეკრულებებისა რომელთა გადახდაც მოსალოდნელია წარმოშობიდან ერთ წელიწადში, რომელიც წარმოიშობა:

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

- ფულის დროითი ღირებულებისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად; და
- ფინანსური რისკისა და მისი ცვლილებების გავლენის შედეგად.

წმინდა შემოსავალი ან ხარჯები ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

კომპანია წარადგენს მოგებაში ან ზარალში ერთი თანხის სახით გადამზღვეველის მიერ მოსალოდნელ ასანაზღაურებელ თანხებს და გადახდილი გადაზღვევის პრემიების განაწილების თანხებს.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

a) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარებში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო და წარსადგენ ვალუტას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

b) ტრანზაქციები და ნაშთები

უცხოური ვალუტის ტრანზაქციები ფუნქციურ ვალუტაში გადაიყვანება ტრანზაქციების ან შეფასების თარიღებზე არსებული გაცვლითი კურსების გამოყენებით, სადაც პუნქტები წინასწარ არის შეფასებული. ასეთი ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს გაცვლითი კურსით გადაყვანიდან გამომდინარე სავალუტო მოგება ან ზარალი აღირიცხება სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები გადაყვანილია საწყისი ტრანზაქციის თარიღის გაცვლითი კურსის გამოყენებით. მონეტარულ აქტივებთან დაკავშირებული საკურსო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სავალუტო მოგება და ზარალი“-ს მუხლში.

კომპანიამ უცხოური ვალუტის ბალანსების გადასაყვანად გამოიყენა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად -

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობს სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სხვა აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სხვა აქტივები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში. კომპანია სხვა აქტივებს სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სხვა აქტივებს, საკრედიტო

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის. ასევე ნებისმიერ პროცენტს ან კუპონს, რომელიც გადასახდელია ვალდებულების დაუფარავად დაფარვის პერიოდში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.4 გაცემული სესხები

სასესხო მოთხოვნების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს გაცემულ სესხებს ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.5 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით.

როდესაც კომპანია ცვლის ნებისმიერი იჯარის ვადის შეფასებას (მაგალითად, იმიტომ, რომ ის ხელახლა აფასებს მოიჯარის მიერ გახანგრძლივების ან შეწყვეტის ოფციის გამოყენების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ასახოს გადახედული ვადის განმავლობაში გადასახდელი გადახდები, რომლებიც დისკონტირებულია გადახედული დისკონტის განაკვეთით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაიხედება, როდესაც მომავალი საიჯარო გადასახდელების ცვლადი ნაწილი, რომელიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, შეიცვლება, თუმცა დისკონტის განაკვეთი უცვლელი რჩება. ორივე შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირება ხორციელდება გამოყენების უფლების აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, ხოლო განახლებული საბალანსო თანხა ამორტიზირდება დარჩენილი (განახლებული) საიჯარო ვადის განმავლობაში. თუ გამოყენების უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდე შემცირდება, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

როდესაც კომპანია იჯარის ხელშეკრულების პირობებს მეიჯარესთან ხელახლა შეთანხმებით ცვლის, აღრიცხვა დამოკიდებულია ცვლილების ბუნებაზე:

- თუ ხელახლა შეთანხმება იწვევს ერთ ან მეტ დამატებითი აქტივის იჯარას ისეთი ოდენობით, რომელიც შეესაბამება დამატებითი გამოყენების უფლებების დამოუკიდებელ ფასს, ცვლილება აღიარდება, როგორც ცალკე იჯარა ზემოთ აღწერილი პოლიტიკის შესაბამისად;
- ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელახლა შეთანხმება ზრდის იჯარის მოცულობას (იქნება ეს იჯარის ვადის გახანგრძლივება თუ დამატებითი აქტივების იჯარა), იჯარის ვალდებულება ხელახლა ფასდება ცვლილების თარიღისთვის მოქმედი დისკონტის განაკვეთის გამოყენებით, ხოლო გამოყენების უფლების აქტივი იმავე ოდენობით კორექტირდება;
- თუ ხელახლა შეთანხმება იწვევს იჯარის მოცულობის შემცირებას, როგორც იჯარის ვალდებულების, ისე გამოყენების უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება იმავე პროპორციით, რაც ასახავს იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას, ხოლო სხვაობა აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. შემდგომში, იჯარის ვალდებულება დამატებით კორექტირდება ისე, რომ მისი საბალანსო ღირებულება ასახავდეს ხელახლა შეთანხმებული გადასახდელების ოდენობას განახლებულ ვადაში, ხოლო მოდიფიცირებული საიჯარო

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

გადასახდელები დისკონტირდება ცვლილების თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით. გამოყენების უფლების აქტივი იმავე ოდენობით კორექტირდება.

კომპანია ირჩევს, ძირითადი აქტივის კლასის მიხედვით, არ გამოყოს არასაიჯარო კომპონენტები საიჯარო კომპონენტებისგან და თითოეული საიჯარო კომპონენტი, მასთან დაკავშირებულ არასაიჯარო კომპონენტებთან ერთად, აღრიცხოს, როგორც ერთი ერთიანი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.6 მიმდინარე გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მხოლოდ მიმდინარე გადასახადს. 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიებისთვის საქართველოში მოქმედი კორპორაციული დაბეგრის ესტონური მოდელის თანახმად, მოგების გადასახადით არ იბეგრება მიღებული მოგება, არამედ განაწილებულ მოგება და გარკვეული, კონკრეტული ტრანზაქციები.

მიმდინარე გადასახადი მოიცავს დივიდენდებსა და სხვა ტრანზაქციებზე გადასახდელ გადასახადს, რომლებიც განაწილებულ მოგებად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. განაწილებული შემოსავალი ძირითადად მოიცავს აქციონერებისთვის გადახდილ დივიდენდებს; თუმცა, დაბეგრას ექვემდებარება სხვა ტრანზაქციები, მათ შორის დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები არასაბაზრო პირობებით, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება კანონით დადგენილ ლიმიტებს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმომობილი კორპორაციული მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება. გადასახდელი გადასახადი გამოითვლება წმინდა განაწილებული თანხის 15/85-ის ოდენობით.

საგადასახადო ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობასთან აღირიცხება, როგორც, გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

3.7 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. გამოშვებული კაპიტალი აღიარდება როგორც სააქციო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით. სხვაობა შენატანების რეალურ ღირებულებას და აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება როგორც საემისიო კაპიტალი.

3.8 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ფასს 17 - სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები

აგრეგირების დონე - სააღრიცხვო განსჯა

კომპანია პორტფელს განსაზღვრავს როგორც ისეთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. ხელშეკრულებები ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში არის ერთი და იმავე პორტფელში, რადგან აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად. შეფასება, თუ რომელი რისკებია მსგავსი და როგორ იმართება ხელშეკრულებები მოითხოვს განსჯას.

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა - სააღრიცხვო განსჯა

მცირე რაოდენობის სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომელთაც აქვთ თორმეტ თვეზე მეტი სადაზღვევო პერიოდი (როგორც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში), კომპანია ხელშეკრულების შესწავლის შემდგომ ირჩევს PAA მიდგომას, რადგან მოელის რომ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არსებითად არ განსხვავდება ძირითადი შეფასების მოდელისგან. კომპანია განსჯაზე დაყრდნობით განსაზღვრავს რამდენად დასაშვებია PAA მიდგომის გამოყენება საწყისი აღიარებისას.

წაგებიანი ხელშეკრულებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო

კომპანია მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას არც ერთი ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, მანამ სანამ ფაქტები და გარემოებები არ მიუთითებს სხვაგვარად. ეს ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას, რაც შეიძლება განუსაზღვრელი იყოს მათი დროის, ზომის და ალბათობის გამო. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია, კომპანია ადგენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ზარალის კომპონენტს, როგორც ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადაჭარბებას დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე (ან პირვანდელ ღირებულებაზე). შესაბამისად, სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ზარალის კომპონენტი ნულის ტოლი იქნება. როდესაც კომპანია საწყისად აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულების წაგებიან ჯგუფს ან როცა შემდგომში ემატება წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებები ასეთ ჯგუფს, და კომპანიას ფლობს შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულება, კომპანია განსაზღვრავს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის ზარალის კომპენსაციის კომპონენტს, რომელიც ასახავს აღიარებული ზარალის ანაზღაურებას

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

3. ძირითადი საბუღალტრო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები - განუსაზღვრელობის შეფასების წყარო

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია მიუკერძოებლად ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამაჯერებელ ინფორმაციას, რომელიც ანგარიშგების თარიღისთვის ხელმისაწვდომია გადაჭარბებული ხარჯისა და ძალისხმევის გარეშე. ინფორმაცია მოიცავს როგორც შიდა, ასევე გარე ისტორიულ მონაცემებს მოთხოვნებზე და სხვა გამოცდილებაზე, რომლებიც განახლებულია მომავალი მოვლენების მიმდინარე მოლოდინების ასახვის მიზნით. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები ასახავს კომპანიის ხედვას ანგარიშგების თარიღისთვის არსებული პირობების შესახებ და უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი შესაბამისი საბაზრო ცვლადის შეფასება იყოს დაკვირვებად საბაზრო ფასებთან თანხვედრაში. თუმცა, აღნიშნული ფულადი ნაკადები ბუნებრივად გაურკვეველია როგორც მოცულობის, ისე დროის თვალსაზრისით და ეფუძნება ალბათობით შეწონილ საშუალო მოლოდინებს.

რისკის კორექტირება - განუსაზღვრელობის შეფასების წყაროები

რისკის კორექტირება არა-ფინანსური რისკისთვის განისაზღვრება ისე, რომ გაითვალისწინოს კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს არა-ფინანსური რისკის აღებისთვის და რისკის ის დონე, რომელსაც ჯგუფი არ იღებს თავის თავზე. აღნიშნული განისაზღვრება ჯგუფის დონეზე (გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, რომლისთვისაც განისაზღვრება პორტფელის დონეზე) და მიეკუთვნება ხელშეკრულებების ჯგუფს მათი რეზერვის ზომის შესაბამისად. ჯგუფი არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების სიდიდის განსაზღვრისთვის იყენებს სანდოობის ინტერვალის ტექნიკას.

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების ალბათობის განაწილებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და გამოთვლის რისკის კორექტირებას არაფინანსური რისკისთვის ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით. ნდობის ინტერვალის გულისხმობს ალბათობას, რომ პოპულაციის პარამეტრი დაეცემა მნიშვნელობებს შორის გარკვეული პროპორციით. იმ სიტუაციებში, როდესაც ზემოაღნიშნული მეთოდების განაწილების დაშვებები გაურკვეველია ან დარღვეულია, ხელახალი შერჩევის მეთოდები იძლევა სანდო ინტერვალის ან პროგნოზირების ინტერვალის აგებას.

ნდობის ინტერვალის ტექნიკის გამოყენებით, რისკის კორექტირება გამოითვლება როგორც ზღვარი არასასურველი გადახრის ალბათობებით შეწონილი მოსალოდნელი მნიშვნელობიდან, არჩეული ნდობის დონის გამოყენებით. რისკის კორექტირება არის მანძილი ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას (საშუალოს შეფასება მთელ განაწილებაზე) და შერჩეული ნდობის დონის მიღმა ფულადი სახსრების ნაკადების ალბათობით შეწონილ მოსალოდნელ მნიშვნელობას შორის. კომპანია არაფინანსურ რისკს ანგარიშობს 80%-იანი დონით.

5. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

5.1 სადაზღვევო რისკები

სადაზღვევო რისკების მართვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადაზღვევო ხელშეკრულებების გაცემა და, შესაბამისად, სადაზღვევო რისკი არის ძირითადი რისკი. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, ნებისმიერი მოთხოვნის ოდენობისა და დროის გაურკვეველობის ჩათვლით.

კომპანიის მიზანია უზრუნველყოს საკმარისი რეზერვები მის მიერ გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარად. რისკის ზემოქმედება მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციის შედეგად. რისკის ცვალებადობა ასევე გაუმჯობესებულია ანდერრაიტინგის სტრატეგიის ინსტრუქციების ფრთხილად შერჩევით და განხორციელებით, ასევე გარე სადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით. გადაზღვევა განთავსებულია როგორც პროპორციულ, ისე არაპროპორციულ საფუძველზე. პროპორციული გადაზღვევის უმეტესი ნაწილი არის კვოტური გადაზღვევა, რომლის მიზანია კომპანიის საერთო რისკის შემცირება დაზღვევის ცალკეულ სახეობებზე. ზარალის არაპროპორციული გადაზღვევის შენარჩუნების ლიმიტები განსხვავდება პროდუქტის ხაზის მიხედვით.

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია მომხმარებლის ქცევასთან. დაზღვეულების რაციონალურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გაზარდოს სადაზღვევო რისკი. დაზღვეული ქცევა გაითვალისწინება

პროდუქტების მახასიათებლების ფორმირების დროს. მაგალითად: პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტა შეიძლება ითვალისწინებდეს საჯარიმო სანქციებს, რომ მოხდეს შეძენის დანახარჯების გადაფარვა. მდგრადობის მონიტორინგი ხორციელდება პორტფელის დონეზე და ემყარება პორტფელის ბაზრის ინფორმაციას. დროდადრო, მენეჯმენტს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ქმედებები და წახალისებები მდგრადობის გასაუმჯობესებლად.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკის ოდენობა ასევე დაკავშირებულია ხარჯების ზრდის რისკთან, რაც გულისხმობს - ხელშეკრულების მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების მოულოდნელ ზრდას (და არა სადაზღვევო მოვლენებთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას). ხარჯების რისკი იმართება წლიური ბიუჯეტირების პროცესით და რეგულარული ხარჯების ანალიზით. კომპანია განუწყვეტილად განიხილავს ანდერრაიტინგის სტრატეგიას განვითარებადი საბაზრო ფასების, ზარალის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კომპანია ძირითადად გასცემს შემდეგი სახის ზოგადი დაზღვევის კონტრაქტებს: ქონების, ავტომობილის, პროფესიული პასუხისმგებლობის, უბედური შემთხვევის, კასკოს, საავიაციო, ტვირთის, სამედიცინო (ჯანმრთელობის) და მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი ტიპის სადაზღვევო პოლისი ჩვეულებრივ მოიცავს თორმეტ თვეს.

არაჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფებისგან. ჯანდაცვის კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიქმნება ცხოვრების სტილის ცვლილებებით, ეპიდემიით და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების ანდერრაიტინგის რისკის მართვის ძირითადი კომპონენტი არის დისციპლინირებული ანდერრაიტის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. პროდუქტის ფასდადება მიზნად ისახავს შესაბამისი პრემიების დადგენას ყოველი ტიპის სავარაუდო რისკისთვის. ანდერრაიტინგის სტრატეგია მოიცავს ჯამური ლიმიტების დადგენას კონკრეტულ რისკებზე, გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ ზემოქმედების ლიმიტებთან ერთად. აღნიშნულის მიზანია უზრუნველყოფილი დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნება, ზედმეტი ექსპოზიციის გარეშე რომელიმე გეოგრაფიულ რეგიონში. ლიმიტები დაწესებულია შესაბამისი რისკის შერჩევის კრიტერიუმების ხელშეწყობისთვის. დაზღვეულის რისკის პროფილების, პრეტენზიების გამოცდილების და საბაზრო ფაქტორების ცვლილებების საპასუხოდ, ხელშეკრულების ფასის ხელახალი გაანგარიშების შესაძლებლობა არის ფასების რისკის მნიშვნელოვანი შემამსუბუქებელი ფაქტორი.

საცალო და კომერციულ ქონებაში კომპანია იყენებს ანალიტიკას რისკის ქვეშ მყოფი ქონების იდენტიფიცირებისთვის და რისკის შერჩევის გასაუმჯობესებლად. საცალო ვაჭრობის სფეროში კომპანია აგროვებს მონაცემებს დაზღვეულის მართვის ჩვეულების შესახებ და არეგულირებს პრემიებს რისკის დინამიური, მონაცემებით მდიდარი შეფასების საფუძველზე.

კომპანია იყენებს გადაზღვევას ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზარალის რისკის შესამცირებლად, მათ შორის ჭარბი ზარალის გადაზღვევის ჩათვლით. სადაც ინდივიდუალური რისკი აღემატება რისკის მისაღებ დონეს, ასევე შეძენილია დამატებითი ფაქტორული გადაზღვევა. კომპანიას აქვს ზარალის განხილვის დეპარტამენტი, რომლის მიზანია ზარალთან დაკავშირებული რისკების შემცირება. ეს დეპარტამენტი იკვლევს და არეგულირებს ყველა არსებით ან საეჭვო პრეტენზიას. პრეტენზიები განიხილება ინდივიდუალურად, სულ მცირე, ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია რისკის მართვის სტრატეგიაში, რათა ასახოს უახლესი ინფორმაცია ძირითადი ფაქტორების, მოქმედი კანონის, სახელშეკრულებო პირობებისა და სხვა ფაქტორების შესახებ. კომპანია აქტიურად მართავს და ახორციელებს ზარალის ადრეულ ანგარიშსწორებას, რათა შეამციროს მისი ზემოქმედება არაპროგნოზირებადი მოვლენების მიმართ.

არასასიცოცხლო კონტრაქტებს ახასიათებს კატასტროფის რისკი - კატასტროფული მოვლენების შედეგად მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების რისკი. ამ ტიპის რისკი გავლენას ახდენს საავტომობილო და ქონების დაზღვევის პოლისებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ზარალის რაოდენობა და სიხშირე, არის კატასტროფული მოვლენა, როგორცაა ქარიშხალი, წყალდიდობა ან მიწისძვრა. ყველა ტიპის სადაზღვევო პროდუქტისთვის დამახასიათებელია: პრემიის რისკი - რისკი იმისა, რომ დაზღვეულებისთვის დარიცხული პრემიები ნაკლებია ზარალის ოდენობაზე; რეზერვის რისკი - რისკი იმისა, რომ ზარალის რეზერვები არასაკმარისია ყველა ზარალის დასაფარად.

სიცოცხლის დაზღვევის პოლისებისთვის, სადაც სიკვდილი ან ინვალიდობა არის სადაზღვევო რისკი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს ზარალის ოდენობა და სიხშირე, არის ეპიდემიები ან ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელებული ცვლილებები, რაც გამოიწვევს მოსალოდნელზე ადრე ან მეტ ზარალს.

კომპანიის იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

სადაზღვევო ზარალების გაყოფით სადაზღვევო ამონაგებზე. კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	2025	2024
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე	69%	33%
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით	41%	39%

სადაზღვევო რისკის მგრძობელობა

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. კომპანია ზარალიანობის კოეფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძობელობა ზარალის კოეფიციენტის მიმართ 5%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

	2025	2024
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის გარეშე	79	81
მოგება/(ზარალი) - გადაზღვევის ჩათვლით	96	123

ხელმძღვანელობის შეფასებით 5%-იანი ცვლილება წარმოადგენს ზარალიანობის კოეფიციენტის შესაძლო ცვლილების გონივრულ საზღვრებს. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პორტფელიდან მოსალოდნელ სადაზღვევო შემოსავლებს და სადაზღვევო ზარალების გონივრულ ცვლილებას.

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად კომპანია იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევო რისკების კონცენტრაციას გამოხატავს სადაზღვევო შემოსავლის განაწილება სახეობების მიხედვით (შენიშვნა 6).

სადაზღვევო რისკი - სადაზღვევო შემთხვევების დინამიკა

კომპანია არ განმარტავს ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის შესახებ, რადგან დანახარჯების ოდენობასა და გადახდის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა, როგორც წესი, გადაიჭრება ერთ წელიწადში.

სადაზღვევო რისკი - ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს გადაიხადოს ყველა ვალდებულება შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულების მართვის პროცესის ნაწილს. ზარალებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და წარმოშობილ ზარალში გადაზღვევისგან მისაღები თანხები გადასახდელია 1 წლის განმავლობაში.

სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებს არ აქვთ თანხები, რომლებიც გადასახდელია მოთხოვნისთანავე.

სადაზღვევო რისკი - სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება მერყობდეს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. სავალუტო კურსის ცვლილება არამატერიალურ გავლენას ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია აშშ დოლარში და ევროში. გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ სავალუტო რისკს.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას. კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები

- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის.
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით..

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება მარეგულირებელ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც ის მოქმედებს. ამგვარი მარეგულირებელი წესები განსაზღვრავენ არა მხოლოდ საქმიანობის მიმართულებას და მონიტორინგს უწევენ მას, არამედ ადგენენ გარკვეულ შემზღუდავ ნორმებსაც, მაგალითად, კაპიტალის ადეკვატურობის ნორმებს, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების წარმოშობის შედეგად სადაზღვევო კომპანიების დეფოლტისა და გაკოტრების რისკების მინიმიზაციისთვის. კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მიმართულია საკმარისი ლიკვიდური აქტივების შენარჩუნებისთვის, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. კომპანიის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე.

საზედამხედველო მოთხოვნები

საქართველოში სადაზღვევო სექტორს არეგულირებს „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის უზრუნველყოფა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ათას ლარზე ნაკლები.

რეგულატორული კაპიტალი განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დადგენილი კაპიტალის საფუძველზე, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, შვილობილ და ასოცირებულ საწარმოებში ინვესტიციებით, არაუზრუნველყოფილი სესხებითა და ვალდებულებებით და სხვა მსგავსი მუხლებით, როგორც ეს განსაზღვრულია „ზედამხედველობის სამსახურის“ დირექტივა №16-ის მიხედვით.

კომპანია ახდენს საკუთარი კაპიტალის კორექტირებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესაბამისად მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ზედამხედველობითი კაპიტალის განსაზღვრის მიზნით.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა რეგულატორული კაპიტალის მოთხოვნას და ფლობდა რეგულატორულ გადახდისუნარიანობის მინიმუმზე

კომპანიის მარეგულირებელი კაპიტალი 2025 წლისთვის შეადგენს 17,178 ათასს.

მზღვეველის კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე არ უნდა იყოს სამსახურის მიერ მზღვეველისთვის დადგენილი გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშებით მიღებული ოდენობის 1/3-ზე ნაკლები.

ანგარიშგების პერიოდისთვის გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა განისაზღვრება პრემიისა და ზარალზე დაფუძნებული მეთოდებით გამოთვლილ მნიშვნელობებს შორის მაქსიმუმის მიხედვით და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

Max (Spry, SC), სადაც გამოყენებულ ტერმინებსა და აღნიშვნებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

Spry — პრემიის მეთოდით გამოთვლილი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი;

SC — ზარალზე დაფუძნებული მეთოდით გამოთვლილი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.

კომპანიის გადახდისუნარიანობის მარჯა 2025 და 2024 წლებისთვის შეადგენს 681 ათასს.

სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე სადაზღვევო კომპანიამ მინიმალური კაპიტალის

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

ოდენობის 100% ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით მუდმივად უნდა განათავსოს ამ მიზნით გახსნილ ცალკე ანგარიშზე (ანგარიშებზე) საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში). გარდა ამისა, აღნიშნული ფინანსური რესურსები უნდა იყოს განთავსებული საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) მინიმუმ ერთწლიანი ვადით.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანია თავის საქმიანობაში დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც ფინანსური ინსტრუმენტის რისკი წარმოიშობა, შემდეგია:

	31.12.2025	31.12.2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	853	2,119
საბანკო დეპოზიტები	17,672	14,285
სხვა აქტივები	131	191
სულ ფინანსური აქტივები	18,656	16,595
სხვა ვალდებულებები	15	58
საიჯარო ვალდებულებები	393	492
სულ ფინანსური ვალდებულებები	408	550

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალურ ღირებულებას კომპანია აფასებს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: დაკვირვებადი პირდაპირი ან არაპირდაპირი შესატანი მონაცემები, გარდა დონე 1-ის შესატანი მონაცემებისა
- დონე 3: არადაკვირვებადი შესატანი მონაცემები (ანუ, ბაზრის მონაცემებიდან არ გამომდინარე).

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრება საწყისი აღიარებისას დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთისა და იდენტური ფინანსური ინსტრუმენტისთვის მოქმედი მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულება

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

ეფუძნება მოსალოდნელ მომავალ ფულადი ნაკადებს, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი ვადა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. ლიზინგის ვალდებულებებისა და საბანკო დეპოზიტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე. ლიზინგის ვალდებულებების რეალური ღირებულება გამოთვლილია 2025 წლისთვის 13.49%-იანი საბაზრო განაკვეთით, ხოლო 2024 წლისთვის — 10%-ით. საბანკო დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 9.3%-დან 11.3%-მდე, რაც შეესაბამება საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების რეალური ღირებულება მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია სხვა აქტივებთან და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31.12.2025	31.12.2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	853	2,119
საბანკო დეპოზიტები	17,672	14,285
სხვა აქტივები	131	191
სულ ფინანსური აქტივები	18,656	16,595

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, აგრეთვე საბანკო დეპოზიტები, მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიას — „ვადაგადაცილებული არ არის და არ არის გაუფასურებული“.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია რისკებს აკონტროლებს ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ფინანსურ სტრატეგიას. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც შეესაბამება ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ 2025
საიჯარო ვალდებულებები	15	-	15
სხვა ვალდებულებები	114	279	393
სულ ფინანსური ვალდებულებები	129	279	408
	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ 2024
საიჯარო ვალდებულებები	58	-	58
სხვა ვალდებულებები	160	332	492
სულ ფინანსური ვალდებულებები	218	332	550

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

('000 ლარი)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

5. რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

ვალუტური რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება მოქმედი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადებზე.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტები.

6. სადაზღვევო ამონაგები

	2025	2024
სავალდებულო დაზღვევა*	2,362	2,485
სამედიცინო დაზღვევა	2,677	2,423
ტვირთის დაზღვევა	318	763
ავტომობილების დაზღვევა	1,002	757
ქონების დაზღვევა	764	520
საავიაციო დაზღვევა	460	457
სხვა	253	135
	7,836	7,540

(*) - სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

„სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს.

7. სადაზღვევო მომსახურების ხარჯი

	2025	2024
მომხდარი ზარალები	(5,556)	(2,460)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები		
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(905)	(661)
დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები	(75)	(85)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	(55)	(71)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	15	13
	(6,576)	(3,264)

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

('000 ლარი)

8. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი

	2025	2024
გადაზღვევის ხარჯი	(1,140)	(1,270)
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	2,716	31
ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება წარსულ მომსახურებას — AfIC-ის კორექტირებები	(58)	46
	1,518	(1,193)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2025	2024
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(1,450)	(1,045)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ხარჯები	(306)	(206)
საქველმოქმედო ხარჯები	-	(220)
ცვეთა და ამორტიზაცია	(88)	(100)
კომუნალური ხარჯები	(31)	(33)
საკონსულტაციო ხარჯები*	(127)	(153)
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	(78)	(78)
სხვა	(154)	(136)
	(2,234)	(1,971)

(*) - „საკონსულტაციო ხარჯების“ ქვეთავში დარიცხული ხარჯები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასურის ხარჯებს, რომლებიც შეადგენს 99 ათას ლარს 2025 წლისთვის და 126 ათას ლარს 2024 წლისთვის შესაბამისად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხასიათის ხარჯები არ მიეკუთვნება სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს, რადგან მათ არ აქვთ პირდაპირი და თანმიმდევრული კავშირი სადაზღვევო საქმიანობასთან.

ასეთი ხარჯების განაწილების ნებისმიერი მცდელობა მოითხოვს სუბიექტური ან თვითნებური ვარაუდების გამოყენებას, რაც შეამცირებს ფინანსური ინფორმაციის სანდოობას და გამჭვირვალობას. შესაბამისად, ეს ხარჯები აღირიცხება ცალკე და მხოლოდ პირდაპირ მიკუთვნებული ხარჯები შედის სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

10. ფინანსური შემოსავალი, წმინდა

	2025	2024
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური შემოსავალი დეპოზიტებიდან	1,539	1,377
ფინანსური შემოსავალი გაცემული სესხიდან	112	112
ფინანსური შემოსავალი, სულ	1,485	1,489
ფინანსური ხარჯი		
ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა	(83)	84
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(60)	(73)
ფინანსური ხარჯი, სულ	(143)	11
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	1,508	1,500

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 853 ათასი ლარისა და 2,119 ათასი ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხებს.

12. საბანკო დეპოზიტები

	31.12.2025	31.12.2024
საბანკო დეპოზიტები	16,905	12,922
მისაღები პროცენტები	767	1,363
	17,672	14,285

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

საბანკო დეპოზიტები მოიცავს ერთ და ორწლიან დეპოზიტებს საქართველოში რეზიდენტ ბანკებში, რომელთა საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 9.3%-დან 11.3%-მდე.

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ მოეთხოვება საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებულ ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით.

13. სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების მოძრაობა

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება		სულ
	წამგებიანი ხელშეკრულებების კომპონენტის გარეშე	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები	არაფინანსური რისკის კორექტირება	
01.01.2024	(349)	(2,990)	(21)	(3,360)
სადაზღვევო ამონაგები	7,540			
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი				
მომხდარი ზარალები		(2,423)	(37)	(2,460)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები		(746)		(746)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები		(83)	12	(71)
საკურსო სხვაობის გავლენა	(18)			(18)
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	7,522	(3,252)	(25)	4,245
მიღებული სადაზღვევო პრემია	(7,744)			(7,744)
გადახდილი ზარალები		2,288		2,288
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა		735		735
31.12.2024	(571)	(3,219)	(46)	(3,836)
სადაზღვევო ამონაგები	7,836			7,836
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი				
მომხდარი ზარალები		(5,549)	(7)	(5,556)
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯები		(980)		(980)
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები		21	(76)	(55)
საკურსო სხვაობის გავლენა	23			23
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	7,859	(6,508)	(83)	1,268
მიღებული სადაზღვევო პრემია	(8,048)			(8,048)
გადახდილი ზარალები		2,839		2,839
ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა		980		980
31.12.2025	(760)	(5,908)	(129)	(6,796)

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

('000 ლარი)

14. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივების და ვალდებულებების მოძრაობა:

	დარჩენილი	დამდგარი სადაზღვევო		სულ
	გადაზღვევის პერიოდის აქტივი/ (ვალდებულება)	შემთხვევებიდან წარმოშობილი გადაზღვევის აქტივი/(ვალდებულება)	დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებში გადამზღვევლის წილი	
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	58	2,627	-	2,685
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(307)	-	-	(307)
01.01.2024	(249)	2,627	-	2,378
გადაზღვევის ხარჯი	(1,270)	-	-	(1,270)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	-	-	-	-
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	-	30	1	31
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	46	46
საკურსო სხვაობის გავლენა	(68)	-	-	(68)
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(1,338)	30	47	(1,261)
გადახდილი გადაზღვევის პრემია	1,224	-	-	1,224
დაფარული გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	-	-	-	-
31.12.2024	(363)	2,657	47	2,341
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	62	2,657	47	2,766
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	(425)	-	-	(425)
31.12.2024	(363)	2,657	47	2,341
გადაზღვევის ხარჯი	(1,140)	-	-	(1,140)
გადაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული შედეგი	-	-	-	-
გადაზღვევის წილი მომხდარ ზარალებში	-	2,716	-	2,716
გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	58	(116)	(58)
საკურსო სხვაობის გავლენა	(84)	-	-	(84)
მთლიანი ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(1,224)	2,774	(116)	1,434
გადახდილი გადაზღვევის პრემია	1,527	-	-	1,527
დაფარული გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	-	(19)	-	(19)
31.12.2025	(60)	5,412	(69)	5,282

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

('000 ლარი)

გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმომობილი აქტივები	(60)	5,412	(69)	5,282
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმომობილი ვალდებულებები	-	-	-	-

15. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

კომპანიას იჯარით აღებული აქვს შენობის ფართი ადმინისტრაციული ოფისისთვის. აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელი წარმოდგენილია ლარში. იჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.49%-ს.

აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2025	2024
1 იანვრის მდგომარეობით	<u>464</u>	<u>579</u>
შემოსვლა		
ცვეთა	(116)	(115)
31 დეკემბრის მდგომარეობით	<u><u>348</u></u>	<u><u>464</u></u>
საიჯარო ვალდებულება	2025	2024
1 იანვრის მდგომარეობით	<u>492</u>	<u>579</u>
შემოსვლა		
საპროცენტო ხარჯი	61	73
გადახდა	(160)	(160)
31 დეკემბრის მდგომარეობით	<u><u>393</u></u>	<u><u>492</u></u>

16. სააქციო კაპიტალი

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შედგება 9,620 ათასი ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი. კომპანიას 2025 და 2024 წლებში არ გამოუსყიდია და არ გამოუშვია ჩვეულებრივი აქციები.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ერთ ან მეტ შუამავალის მეშვეობით არაპირდაპირ: აკონტროლებენ კომპანიას, ან კონტროლდებიან კომპანიის მიერ, ან იმყოფებიან კომპანიასთან საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დედა კომპანიებს, შვილობილ კომპანიებს და და-ძმა კომპანიებს) ფლობენ კომპანიაში ისეთ წილს, რომელიც მათ ანიჭებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე და ასევე მხარეები, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს კომპანიაზე

ბ) კომპანიის ან მისი მშობელი კომპანიის ძირითადი მმართველი პერსონალის წევრები

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარეები, რომლებიც არიან სუბიექტები, რომელთა კონტროლი, ერთობლივი კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა ხორციელდება, ან რომლებშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც მოხსენიებულია (c) ან (b) პუნქტებში.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ მის იურიდიულ ფორმაზე. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიისა და სხვა დაკავშირებული მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების დეტალები.

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	2025			2024		
	დამფუძნებელი	სხვა	სულ	დამფუძნებელი	სხვა	სულ
სადაზღვევო შემოსავალი	958	2,051	3,009	990	1,519	2,509
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(926)	(244)	(1,170)	(887)	(310)	(1,197)
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	1,343	135	1,478	1,198	123	1,321
გაცემული სესხების გაუფასურების ხარჯი	-	(29)	(29)	-	(2,049)	(2,049)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(176)	(176)	(2)	(220)	(222)
					2025	2024

უმალესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:

მოკლევადიანი შრომის ანაზღაურების ხარჯი (447) (426)

(*) – სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	31.12.2025			31.12.2024		
	დამფუძნებელი	სხვა	სულ	დამფუძნებელი	სხვა	სულ
საბანკო დეპოზიტები	16,365	-	16,365	12,417	-	12,417
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,695	3,055	5,750	182	2,892	3,074
გაცემული სესხები	-	2,077	2,077	-	2,049	2,049
გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი	-	(2,077)	(2,077)	-	(2,049)	(2,049)
საიჯარო ვალდებულებები	-	393	393	-	492	492

(*) – სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოადგენს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებს.

18. პირობითი ვალდებულებები და ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავები და საჩივრები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სამართლებრივ დავებთან და საჩივრებთან დაკავშირებით არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებული რეზერვები შეადგენს 0 ათას ლარს (31.12.2024: 13 ათასი ლარი).

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მმართველობის ანგარიშგება

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარი)

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის (მუხლი 7) შესაბამისად, კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიში სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშთან ერთად არაუგვიანეს ანგარიშგების პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიას აღნიშნული ვალდებულება არ აქვს შესრულებული

მარეგულირებელი მოთხოვნები

სადაზღვევო კომპანიას მისი საქმიანობის ყველა ეტაპზე უნდა ჰქონდეს კაპიტალის მინიმალური ოდენობა, 100%-ით ფულადი სახსრების სახით, რომელიც უწყვეტად უნდა იყოს განთავსებული ამ მიზნით გახსნილ ცალკე ანგარიშზე (ანგარიშებზე) საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში), მინიმუმ 1 (ერთი) წლის ვადით.

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც უნდა კლასიფიცირდეს, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა.....	2
ოფისი და მომსახურების ცენტრი	2
კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა	3
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	3
პოზიციონირება ბაზარზე	3
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	4
კაპიტალის ადეკვატურობა	5
ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა.....	5
ფინანსური კოეფიციენტები და მათი ანალიზი.....	5
არაფინანსური მაჩვენებლები	7
სამომავლო გეგმები	9

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი საწარმო (შემდგომში - ჯგუფი) დაფუძნებული არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ საიდენტიფიკაციო კოდით 204970031 დარეგისტრირებულია 2001 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის 39ა.

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ მეორე ათეული წელია ეწევა სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებას საქართველოში, სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება აღნიშნული სამსახურის რეგულაციებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს დაზღვევის შესახებ კანონსა და სხვა ქვემდებარე აქტებსა და ბრძანებებში.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო - შპს „რეესტრი XXI“, საიდენტიფიკაციო კოდით N 204975438, რომელშიც ფლობს 100%-ს. დაფუძნების დღიდან შვილობილი საწარმო არ ფუნქციონირებს და არ აქვს არცერთი ოპერაცია განხორციელებული.

ჯგუფის სააქციო კაპიტალის მეწილეები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- საერთაშორისო საქელმოქმედო ფონდი "ქართუ", 8.61%
- სს „ბანკი ქართუ", 91.39%

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი ბენეფიციარი მფლობელი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ასევე არ ყავს საბოლოო მაკონტროლებელი ბენეფიციარი მფლობელი.

ჯგუფს ჰყავს ფინანსურად ძლიერი დამფუძნებელი ბანკი ქართუს სახით, რომელიც საჭიროებისას სადაზღვევო კომპანიას უწევს ფინანსურ მხარდაჭერას.

სს დაზღვევის კომპანია ქართუ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მცირე მოთამაშეა, თუმცა ის სტაბილური პარტნიორია და მას დაზღვევის გარკვეულ სახეობებში მოწინავე ადგილი უჭირავს (დეტალები იხილეთ ქვემოთ).

დაზღვევის კომპანია ქართუს დიდი ხნის განმავლობაში სადაზღვევო სფეროში საქმის წარმოებამ მას შესაძლებლობა მისცა დაემყარებინა გამორჩეული პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს ისეთ საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებთან, როგორებიცაა Syndicates of Lloyd's (<https://www.lloyds.com/>), SCOR (<https://www.scor.com>), Willis Towers Watson (<https://www.wtwco.com/>) და სხვები. კომპანია მუდმივად ზრუნავს ამ ურთიერთობების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც გამოხატავს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებას. სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ოფისი და მომსახურების ცენტრი

კომპანიას აქვს სათაო ოფისი და სერვის ცენტრი განთავსებული თბილისის ჭავჭავაძის გამზირ 39ა-ში. სერვის ცენტრიდან ხორციელდება კლიენტთა მომსახურება, ხოლო სათაო ოფისში განთავსებულია ადმინისტრაცია.

კომპანიას დაქირავებული ჰყავს რამდენიმე თანამშრომელი თბილისის გარეთ სხვადასხვა ადგილმდებარეობით, რომლის მიზანი არის კლიენტების დროული და უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფა.

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 52 ადამიანი, მათ შორის:

- 5 უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელი
- 10 საშუალო რგოლის ხელმძღვანელი
- 37 სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტი

კომპანიაში დანერგილი არის ფიქსირებული ანაზღაურების სისტემა. ანაზღაურების სისტემა უცვლელია თანამდებობის მიუხედავად და ის განისაზღვრება ფიქსირებული, ყოველთვიურად თანაბარი მოცულობის ხელფასით. 2025 კალენდარული წლის ხელფასი შეადგენს 2,305 ათას ლარს.

2024 წლის მსგავსად, 2025 წლის განმავლობაშიც დასაქმებულების უმრავლესობა, ბიზნესის ჩვეული ფუნქციონირების უზრუნველყოფის დაცვით, მუშაობდა ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობის რეჟიმში, რაც დღემდე ასე რჩება.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2025 წლის განმავლობაში კომპანიას არ დაუწერია ინოვაციური ღონისძიებები, რომელიც ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.


პოზიციონირება ბაზარზე

კომპანია ორიენტირებულია:

1. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე
2. პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე
3. კორპორატიული სეგმენტის განვითარებაზე

შესაბამისად, კომპანია ამ მხრივ დგამს თანმიმდევრულ ნაბიჯებს.


სულ 2025 წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიის მიხედვით კომპანიების პოზიციები შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. გრაფიკი #1).



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | გამომუშავებული პრემია დათვლილია საზედამხედველო სტანდარტებით, რაც მოიცავს სრულად გადაზღვეულ პოლისებსაც.

ბაზარზე არის 4 მსხვილი სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ბაზრის 60%-ს ფლობენ. სხვა დანარჩენი სადაზღვევო კომპანიები კი საშუალო ზომის არიან და ფლობენ ბაზრის 0,4%-დან 7%-მდე, მათ შორის 0,6% წილით არის დაზღვევის კომპანია ქართუც.

ბაზრის წილი ზოგჯერ მკვეთრად ცვალებადია დაზღვევის პროდუქტების ჭრილში. შემდეგ გრაფიკში ჩანს რომ კომპანია მეოთხე ადგილზეა საჰაერო ტრანსპორტის საშუალებების დაზღვევის სახეობაში გამომუშავებული პრემიის მიხედვით (იხ. გრაფიკი #2):



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | გამომუშავებული პრემია დათვლილია სახელმწიფო სტანდარტებით, რაც მოიცავს სრულად გადაზღვეულ პოლისებსაც.

სხვა დანარჩენ სახეობებში კომპანია ბაზარზე მეტ-ნაკლებად თავისი საშუალო ხვედრითი წილის შესაბამისად არის წარმოდგენილი.

კომპანია თანამშრომლობს ადგილობრივ სადაზღვევო კომპანიებთან. 2018 წლის იანვარში სხვა სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთშეთანხმებით შეიქმნა საერთო საწარმო „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“ <https://tpl.ge/>.

აღნიშნული ცენტრი შეიქმნა სახელმწიფოს დახმარებით და დამყარებულია შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე. აღნიშნული კანონის მიხედვით, უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით.

ცენტრი არის თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველების მიერ სავალდებულო დაზღვევის ამ სახეობის მართვისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი ნებაყოფლობითი საზოგადოება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

დაზღვევის კომპანია ასევე არის სადაზღვევო ასოციაციის წევრი. ასოციაციის საშუალებით ის თანამშრომლობს ბაზრის სხვა მონაწილეებთან, სადაც ხდება სხვადასხვა მიმდინარე პრობლემების განხილვა და ერთობლივი გადაჭრის გზებისა და ქმედებების განსაზღვრა.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა

სადაზღვევო კომპანიას 2025 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის მთავარი ფინანსური მახასიათებელი უნდა იყოს ადეკვატური კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სადაზღვევო რისკების დაფარვას, ისე ბიზნეს უწყვეტობას.

კაპიტალის ადეკვატურობა

კომპანიას აქვს კაპიტალის ადეკვატური მოცულობა, რაც მოთხოვნილია ზედამხედველობის სამსახურის მიერ. არსებული კაპიტალი აკმაყოფილებს კომპანიის გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის მოთხოვნას და მნიშვნელოვნად აღემატება მას.

ცხრილი #1 (ლარში)	2025 წელი	2024 წელი	2023 წელი
საზედამხედველო კაპიტალი	17 178 000	15 062 678	12 305 412
გადახდისუნარიანობის მოთხოვნა	681 006	681 006	644 096

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიის კაპიტალის ყველა ზემოაღნიშნული მაჩვენებელი ადეკვატურია კომპანიის მიერ აღებული ბიზნეს რისკების რაც დადებითად ახასიათებს კომპანიას, როგორც მდგრად ფინანსურ ინსტიტუტს.

ეს ასევე მნიშვნელოვანი მესიჯია კომპანიის დაზღვეულებისთვის, რომ დაზღვევის კომპანია ქართუ მათი სანდო პარტნიორია და მას შესწევს ძალა და აქვს იმის სურვილი, რომ დააზღვიოს კლიენტების რისკები და უზრუნველყოს მათი საქმიანობის უსაფრთხოება.

ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა

შემდეგ ცხრილში (ცხრილი #2) მოცემულია სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლები და მათი ბოლო სამი წლის ტენდენცია (მონაცემები დამრგვალებულია)

ცხრილი #2 (ათას ლარში)	2025 წელი	2024 წელი	2023 წელი
სულ აქტივები	24,501	19,979	18,873
სადაზღვევო ამონაგები	7,836	7,540	6,955
სრული შემოსავალი	2,129	704	2,221


როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვაჩვენებს, კომპანიას აქვს სტაბილური ფინანსური მაჩვენებლები; აღსანიშნავია, რომ კომპანიამ მიიღო მოგება, არ დაარიგა დივიდენდი და შედეგად გაზარდა კაპიტალი.

დაზღვევის კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფაში მომგებიანობის მნიშვნელობას, ამიტომაც 2016 წლის შემდგომ კომპანია გადადის ბიზნესის არააგრესიული განვითარების სტრატეგიაზე, რითიც მოახდინა ზარალის ჯერ მინიმიზება და შემდგომ მოგებაზე გასვლა. მომავალი წლიდან კომპანია გეგმავს მოგების კიდევ უფრო ზრდას.

ფინანსური კოეფიციენტები და მათი ანალიზი

სადაზღვევო კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური ლევერიჯის კონტროლი - მაღალი ფინანსური ლევერიჯი სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფრთხის შემცველია; საპირისპიროდ, დაბალი ლევერიჯი პოტენციურად ბიზნესის მომგებიანობის შემცირების საფრთხის საფუძველი შეიძლება გახდეს, რაც ასევე უარყოფითი ფაქტორია.

ფინანსური ლევერიჯი სტაბილურია, რაც კარგად ჩანს ქვემოთ:



ფინანსური ლევერიჯი ასახავს ჯამური ვალდებულებების წილს მთლიან აქტივებში. ფინანსური ლევერიჯის მიმდინარე დონე მნიშვნელოვნად ამცირებს ბიზნეს რისკებს და კომპანიის კლიენტებისთვის უსაფრთხოების დამატებით სიგნალს იძლევა.

თუმცა, დაბალი ფინანსური ლევერიჯი არ არის საკმარისი სიგნალი დაზღვეულებისთვის, ამისათვის წარმოგიდგენთ სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტს:

ცხრილი #3 (ლარში)	2025	2024	2023
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები	5 282	2 766	2 685
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	17 672	14 285	12 225
ფული და ფულის ეკვივალენტები	853	2 119	1 191
მიმდინარე აქტივები	23 807	19 170	16 101
სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6 796	3 836	3 360
გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	425	307
სხვა ვალდებულებები	15	58	163
მიმდინარე ვალდებულებები	6 811	4 319	3 830
ლიკვიდურობა	3,50	4,44	4,20

კომპანია ხასიათდება სტაბილურად მაღალი ლიკვიდობით, რაც გადამწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს დაზღვევის პროდუქტების მომხმარებელთათვის სადაზღვევო კომპანიის შერჩევისას.

სს დაზღვევის კომპანია ქართუ
2025 წლის მმართველობის ანგარიშგება
(ათას ლარში)

ასევე უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი არის ზარალიანობის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით, რაც სტაბილურად დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება. აღნიშნული ტენდენცია საშუალებას აძლევს კომპანიას მეტი მოგების გენერირება მოახდინოს და ამით კიდევ უფრო გაზარდოს კაპიტალი.

ცხრილი #4 (ლარში)	2025	2024	2023
სადაზღვევო ამონაგები	7 836	7 540	6 955
მომხდარი ზარალები	-5 556	-2 460	-4 553
გადაზღვევის ხარჯი	-1 140	-1 270	-1 021
გადაზღვევის წილი მომხდარი ზარალები	2 716	31	2 675
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გარეშე	0,71	0,33	0,65
ზარალის კოეფიციენტი გადაზღვევის გათვალისწინებით	0,42	0,39	0,32
სხვა საოპერაციო ხარჯები	-2 234,77	-1 971,00	-1 724,00
ხარჯების კოეფიციენტი	0,29	0,26	0,25

ჯგუფი ინარჩუნებს ზარალიანობის დაბალ მაჩვენებელს და მუდმივად ზრდის საკუთარ კაპიტალს. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკების მართვა

სადაზღვევო საქმიანობის მთავარი ამოცანა რისკების სწორად და ჯეროვნად მართვაა. ამას ჯგუფი ახორციელებს ყველა საზედამხედველო ნორმის დაცვითა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და დანერგვით.

რისკი სადაზღვევო საქმიანობის ბუნებრივი და მუდმივად თანმდევი ელემენტია. სადაზღვევო რისკების მართვის ძირითადი მექანიზმია

- გარე საშუალებები
- შიდა მექანიზმები

რისკის მართვის გარე საშუალება არის რისკების გადაზღვევა სხვა, ძირითადად უფრო მსხვილ სადაზღვევო კომპანიაში. ჯგუფში ეს საშუალება აქტიურად გამოიყენება, განსაკუთრებით მსხვილი ხელშეკრულებების დროს, ასევე მაღალი და/ან გაურკვეველი რისკების დაზღვევისას. დაზღვევის კომპანია ინტენსიურად იყენებს რისკის გადაზღვევის მექანიზმებს არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებში.

სს დაზღვევის კომპანია ქართუ
2025 წლის მმართველობის ანგარიშგება
(ათას ლარში)

დაზღვევის განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელ სახეობებსა და კონკრეტულ სადაზღვევო პოლისებზე ჯგუფი ცდილობს რისკების მაქსიმალურად გადაზღვევას; მაგალითად, საჰაერო გადაზიდვების პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობას სრულად, 100%-ით, გადააზღვევს. იმავე მოცულობით ხდება გადაზღვევა სხვა რისკიან პოლისებზე შეფასებული მაღალი რისკის შემთხვევებში, ან ისეთ პოლისებზე, რომლის რისკის იდენტიფიცირება ჯგუფს უჭირს.

რისკების შიდა მართვის მექანიზმებია შესაბამისი პროცედურების არსებობა და მისი სწორი ფუნქციონირების მუდმივი უზრუნველყოფა შესაბამისი ქვედანაყოფების მიერ. ამისთვის ჯგუფში შექმნილია შემდეგი ქვედანაყოფები:

- რისკების მართვის დეპარტამენტი
- სამედიცინო ზარალების მართვის განყოფილება
- არასამედიცინო ზარალების მართვის დეპარტამენტი

რისკების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირებას დაზღვევის ამოქმედებამდე. ეს ხდება სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის, ექსპერტული მოსაზრებისა და ბაზარზე არსებული სხვა ინფორმაციების კომბინირებული გამოყენების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი რისკი კომპანიის რისკის მიმდებლობას აჭარბებს, ხდება შემდეგი:

ა) ან აღნიშნული რისკის სრულად ან დიდწილად გადაზღვევა

ბ) ან დაზღვევაზე უარის თქმა

აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება ყოველთვის. მის გარეშე ჯგუფი არ იზიდავს კლიენტებს და არ გასცემს პოლისებს.

რაც შეეხება რისკის მართვის სხვა საშუალებებს, რის სწორ ფუნქციონირებასაც უზრუნველყოფს სამედიცინო და არასამედიცინო ზარალის მართვის ქვედანაყოფები, მათ მიერ ხდება სადაზღვევო შემთხვევის რეალურად დადგომის, ანუ ზარალის მიღების, შემდეგ რეაგირება. აღნიშნული, ზარალების მართვის, განყოფილებების მთავარი დანიშნულება არის:

ა) განსაზღვრონ არის თუ არა მოხდენილი შემთხვევა სადაზღვევო შემთხვევა

ბ) დაადგინონ ზარალის ზუსტი მოცულობა

გ) უზრუნველყონ ზარალის დარეგულირება

ყოველი ზემოაღნიშნული პუნქტი ურთიერთდამოკიდებულია. თუ დაზღვეულის შემთხვევა არ არის გათვალისწინებული სადაზღვევო პოლისში, მაშინ ის არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად და შესაბამისად ჯგუფი არ ანაზღაურებს ზარალს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ის განსაზღვრულია გაცემული პოლისის პირობებში, მაშინ ხდება ზარალის მოცულობის დადგენა (შესაბამის პარტნიორ კომპანიებთან მჭიდრო მუშაობის შედეგად), რასაც მოსდევს აღნიშნული ზარალის დარეგულირება/ანაზღაურება.

აღსანიშნავია, რომ ზარალის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ხდება მისი აღრიცხვა/აღიარება, ზარალის მოსალოდნელი მოცულობის დადგენა და მის დარეგულირებამდე სავარაუდო ზარალის მოცულობის რეზერვის შექმნა.

რისკის მართვის დანერგილი მეთოდოლოგია შეესაბამება საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკას. კომპანიის სადაზღვევო რისკების შესახებ და ზარალიანობასა და მისი მართვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია დეტალურად აღწერილი არის ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაციაც დეტალიზებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სადაზღვევო კომპანიის ბიზნესის თანმდევი რისკია ასევე კომერციული რისკი, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო პერიოდში. კომერციული რისკი გამომდინარეობს კომპანიის უშუალო კონკურენტების ქმედებებიდან, რაც მიმართულია ბაზარზე მათი პოზიციონირების გაძლიერებისკენ. ჯგუფი ცდილობს კონკურენტული საფასო პოლიტიკისა და კლიენტებისთვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზების გონივრული საშუალებების გამოყენებით შეამციროს აღნიშნული რისკის ზემოქმედება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სს დაზღვევის კომპანია ქართუ
2025 წლის მმართველობის ანგარიშგება
(ათას ლარში)

კომპანიის მიმდინარე ამოცანაა არსებული კორპორატიული პორტფელის შენარჩუნება და მისი თანმიმდევრული, მომსახურების ხარისხის და მომგებიანობის შენარჩუნების გზით გაზრდა. აღნიშნული სტრატეგია დადებით ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი რისკის შემცველიცაა, რადგან ზემოაღნიშნული კონკურენციის რისკის ზრდის ფონზე, ის წარმოშობს ამ სტრატეგიის წარმატების საფრთხეებს. სადაზღვევო კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს არსებული სტრატეგიის ადაპტირებას ახალ საბაზრო მდგომარეობასთან, რათა შეამციროს მისგან მომდინარე რისკების ზეგავლენა.

სამომავლო გეგმები

დაზღვევის კომპანია ქართუს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია კორპორატიული კლიენტების მომსახურება. კომპანიას აქვს ბაზრის შედარებით მცირე წილი და შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში გეგმავს არსებული პროფილის და პორტფელის შენარჩუნებას.

წინა წლებში კომპანიამ მოახდინა გარკვეული საცალო პროდუქტების შეთავაზება ბაზრისათვის, თუმცა პროდუქტებში გარკვეული ნაკლოვანებების აღმოჩენის შემდეგ კომპანია კვლავ დაუბრუნდა ტრადიციულ ბიზნეს სტრატეგიას - იურიდიული, მსხვილი მომხმარებლების მომსახურებას. შედეგად შემცირდა კომპანიის მასშტაბი, თუმცა მთავარი დადებითი შედეგი არის კომპანიის საშუალოზე მაღალი მომგებიანობის უზრუნველყოფა. დაზღვევის კომპანია ამავე სტრატეგიას შეინარჩუნებს მოკლევადიან პერიოდში, რის შემდეგაც ბაზარზე არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზიდან გამომდინარე დასახავს საშუალოვადიან და გრძელვადიან, მოგებასა და მაღალი სტანდარტის მომსახურების შენარჩუნება-განვითარებაზე ორიენტირებულ მიზნებს და მის შესაბამისად მიზნის მიღწევის ბიზნეს-განვითარების სტრატეგიას.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

ადმსრულებელი დირექტორი

ზ. ჩაჩხიანი

სს დაზღვევის კომპანია ქართუ
2025 წლის მმართველობის ანგარიშგება
(ათას ლარში)

კომპანიის მიმდინარე ამოცანაა არსებული კორპორატიული პორტფელის შენარჩუნება და მისი თანმიმდევრული, მომსახურების ხარისხის და მომგებიანობის შენარჩუნების გზით გაზრდა. აღნიშნული სტრატეგია დადებით ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი რისკის შემცველიცაა, რადგან ზემოაღნიშნული კონკურენციის რისკის ზრდის ფონზე, ის წარმოშობს ამ სტრატეგიის წარმატების საფრთხეებს. სადაზღვევო კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს არსებული სტრატეგიის ადაპტირებას ახალ საბაზრო მდგომარეობასთან, რათა შეამციროს მისგან მომდინარე რისკების ზეგავლენა.

სამომავლო გეგმები

დაზღვევის კომპანია ქართუს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია კორპორატიული კლიენტების მომსახურება. კომპანიას აქვს ბაზრის შედარებით მცირე წილი და შედარებით მოკლევადიან პერსპექტივაში გეგმავს არსებული პროფილის და პორტფელის შენარჩუნებას.

წინა წლებში კომპანიამ მოახდინა გარკვეული საცალო პროდუქტების შეთავაზება ბაზრისათვის, თუმცა პროდუქტებში გარკვეული ნაკლოვანებების აღმოჩენის შემდეგ კომპანია კვლავ დაუბრუნდა ტრადიციულ ბიზნეს სტრატეგიას - იურიდიული, მსხვილი მომხმარებლების მომსახურებას. შედეგად შემცირდა კომპანიის მასშტაბი, თუმცა მთავარი დადებითი შედეგი არის კომპანიის საშუალოზე მაღალი მომგებიანობის უზრუნველყოფა. დაზღვევის კომპანია ამავე სტრატეგიას შეინარჩუნებს მოკლევადიან პერიოდში, რის შემდეგაც ბაზარზე არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზიდან გამომდინარე დასახავს საშუალოვადიან და გრძელვადიან, მოგებასა და მაღალი სტანდარტის მომსახურების შენარჩუნება-განვითარებაზე ორიენტირებულ მიზნებს და მის შესაბამისად მიზნის მიღწევის ბიზნეს-განვითარების სტრატეგიას.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 31 მარტს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



ზ. ჩაჩიანი